№ 12.

# სახალხო გაზეთი

№ 12.

ხუთშაბათი, 20 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მაისს, 1910 წ. გაიხსნება ახალი საზაფხულო თეატრი. დირექცია ი. რ. პელტცერისა. ამ დღეს წარმოდგენილი იქნება:

ძლიერნი და სუსტნი

პიესა 4 მოქ. ნ. ტიმკოვსკისა.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ევგენიასას რ. ნ. პოტოცკაია, რიმმისას, გ. ნ. პოპოვა, დიმიტრი პრეტუროვისას საიმპერატორო თეატრის არტისტი ხ. ა. გოლოვინი, ტამბურინოვისას ი. რ. პელტცერი, გიორგი პრეტუროვისას ლ. ა. რეიხშტადტი, ნაზარინისას კარენინი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ბოგაროვა, კოსტიურინა, ლევიცკაია, პოპოვა, პოტოცკაია და ჩაცკაია, ბ-ნნი გოლოვინი, კარენინი, კლიმოვი, პელტცერი და რეიხშტადტი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. მორიგი რეჟისორი ვ. ა. ვლადიმიროვი.

ანონსი: პარასკევს, 21 მაისს, წარმოდგენილი იქნება ტრაჰტენბერგის ოთხ-მოქმედებიანი ახალი პიესა „ფიმკა“. მზადდება წარმოსადგენად „ძველ ჰეიდელბერგში“ და „მაგდალინას თავშესაფარი“.

ი. რ. პელტცერის დირექცია. გამგე ვ. ა. ვლადიმიროვი. (1—ხალ.—1)

კავკ. სამოსწ. ოლქის მზრუნველის ნება-დართვით მდგომარე 1910 წლის პირველ სექტემბრიდან ტფილისში გაიხსნება,

პირველად, რუსული და ქართული ენების

კ უ რ ს ე ბ ი

ორივე სქესის ყველა წლოვანთათვის (დაწყებული 12 წლიდან).

კურსების მიზანია მსურველთ შეასწავლოს რუსული ანუ ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი, ეგრედ წოდებული საგნური წესით, რომელიც არა მარტო საუკეთესოდ ათვისებს ყველას ლაპარაკსა და წერა-კითხვასა, არამედ თან საუკეთესოდაც ანვითარებს მათ. სწავლა იქნება 9 თვეს, 1 ენკ. 1-ლ თიბათვემდის, ყოველ დღე, ჯგუფობით, $1^1/_2$ ს. თვითეულ ჯგუფში, 9—3 საათებს შუა. სწავლა-დამთავრებულთ მიეცემა მოწმობა. ფასი მთელი სწავლისა—40 მან. (ერთდროულად ანუ ნახევარწლობით), თვიურად-კი—5 მან. მსურველთ ეძლევა წინადადება ჩაეწერნენ ეხლავე, ქალაქს გარეშე მცხოვრებთ—წერილით. მისამართი: Тумановскій переулокъ, № 38, собств. домъ. კურსების დამაარსებელი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი.

(2—1)

◀ ისარგებლეთ შემთხვევით ▶

მოდის საგალანტერეიო საქონლის

✣ მ ა ღ ა ზ ი ა ✣

მ. მ. კუხიანიძის ფირმით

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 18, სახაზინო თეატრის პირდაპირ.

მაქვს პატივი ვაუწყო ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვაჭრობის შეწყვეტის გამო ამა წლის 20 ივნისიდან

დ ა ვ ი წ ყ ე

საბოლოო ლიკვიდაცია

ჩემი მაღაზიის ყველა საგალანტერეიო საქონლისა.

ყველაფერი საფაბრიკო ფასებზე 30%-ით ნაკლებ გაიყიდება.

ფასები შეუვაჭრებლად.

პატივისცემით გ. ს. ზუკაკიშვილი.

(3—1)

◀ ისარგებლეთ შემთხვევით ▶

(ისარგებლეთ შემთხვევით — ისარგებლეთ შემთხვევით)

„ედემის“ ბაღი

(ვ ე რ ა ზ ე)

ხუთშაბათს, 27 მაისს, ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება

მაისობა—„არიფანა“

მასპინძელი კნეინა მ. დ. ჭავჭავაძისა. (3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 [illegible]

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—181)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ზ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—344)

ისარგებლეთ შემთხვევით

დამზადებულ ტანისამოსის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ, სასტუმრო „ო რ ი ა ნ ტ ი ს“ ქვეშ.

20 მაისიდან 25 ივნისამდე,

ვაჭრობის შეწყვეტისა და მაღაზიის სამუდამოდ

დაკეტვის გამო

მ ე ტ ა დ ი ა ფ ა დ

გაიყიდება

მთელი საქონელი

და მაღაზიის მოწყობილება და მთელი ქონება: რკინის დაუწველი კასსა, ელექტრონის ფარნები შესაფერი მოწყობილებით სარკეები, შკაფები, დახლები და სხვა.

მაღაზიაში

მოიპოვება ყოველნაირი საქონელი, როგორც საზღვარ-გარეთის, ისე რუსეთის მატერიებისა.

ტანისამოსი უკანასკნელ ფასონის და სურათისაა.

(ნ. 10—ხალ.—2)

(ისარგებლეთ შემთხვევით — ისარგებლეთ შემთხვევით)

ისარგებლეთ შემთხვევით

20 მაისიდან

● ი ხ ს ნ ე ბ ა ●

მიხაილოვის პროპ. და კიროჩნი ქუჩის კუთხეში, მადერის სახლში

მოდის სამანუფაქტურო

◀ მ ა ღ ა ზ ი ა ▶

პირველ სამანუფაქტურო ამხ.-სა,

ძმ. მ. და ი. გრიგორიანებისა.

მიღებულია მრავალი სხვა და სხვა მატერიები

ქალების და კაცების კოსტიუმებისათვის საუკეთესო რუსულ და საზღვარ-გარეთის ქარხნებიდან. არის აგრეთვე ბლომად ტილოეულობა და სხ. საქონელი თეთრეულობისათვის. (1—1)

ექიმი ვაჟ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—ვ3.—74)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამილონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—439)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ვ3.—46)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—68)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—187)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბჯეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—95)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში გ ა დ რ ი ძ ე

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—16

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—427)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში.. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოცოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—46)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

◀ წ ი გ ნ ი ▶

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული.

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მან.. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(10—ფ.—8)

სცენაზე მოღვაწეობის მსურველთა საყურადღებოდ

1. გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველნი (დებიუტანტები) უნდა გამოცხადდნენ დრამ. საზოგად. სადგომში (სათავ.-აზნ. ქარვასლა) უთუოდ 20 მაისს.

2. დებიუტანტმა უნდა იცოდეს ზეპირად ერთი რომელიმე ლექსი ანუ მონოლოგი, სცენა, რომელსაც წაიკითხავს გამოცდაზე რეჟისორისა და ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის თანადასწრებით.

შენიშვნა: პიესაში როლი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც წაკითხვაში სასცენო ნიჭსა და უნარს გამოიჩენს.—რეპეტიციები გაგრძელდება არა ნაკლებ ათი დღისა.—მუდმივ დასში მოწვევა დამოკიდებულია წარმოდგენის შედეგზე და გამგეობის შეხედულებაზე. დებიუტანტების წასვლა-მოსვლისა და ტფილისში ცხოვრების არავითარს ხარჯს გამგეობა არ კისრულობს.

ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობა

(5—5)

ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის ივნისის 5 დღესა, საღამოს 7 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. განსახილველია: 1) საზოგადოების 1909 წ. მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებით; 2) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1910 წლისათვის, 3) გამგე კომიტეტის მოხსენება გიმნაზიის შენობის თაობაზე 4) მიმდინარე კითხვები სწავლა-აღზრდის შესახებ და 5) გამგე კომიტეტის ახალ წევრთა არჩევანი. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით ატყობინებს უძრავ ქონების პატრონებს, რომ 21 მაისიდან ამსრულებელ დამფასებელი კომისია შეუდგება ქალაქის მამულების შეფასებას. შეფასება დაიწყება მე-12 საპოლიციო ნაწილიდან, საიდანაც გაემართება დამფასებელთა ყველა ჯგუფები.

დამფასებელთა ჯგუფების დაყოფაზე რაიონებად ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—ნ.—2)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახალხო განათლების მინისტრის ახალ-კანონ-პროექტს უნივერსიტეტთა შესახებ რუსეთის პრესსა სრულიად უვარგისად სცნობს. „რუსკია ვედომოსტი“, „რეჩი“ და სხვები მუხლ-მუხლად იხილავენ ამ კანონ-პროექტს და ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ ვნებას მოუტანს უნივერსიტეტებს. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს:

თუ შვარცის რეფორმა განხორციელდა და გატარდა ცხოვრებაში, რუსეთის მეცნიერებისა და რუსეთის განათლებისათვის ის დრო, სანამდის ეს წესები იქნებიან ცხოვრებაში, პირდაპირ დაკარგული იქნება. ეხლა კი რუსეთი სწორედ ისეთ მომენტს განიცდის, როდესაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცოდნის განვითარებას და გავრცელებას.

გასაკვირია, რომ თვით რეაქციონური „ნოვოე ვრემია“ არ არის კმაყოფილი ახალ კანონ-პროექტით.

ამ წესების ძალით, ამბობს გაზეთი, უნივერსიტეტში სწავლების რეფორმა, რომელიც ესოდენ საჭიროა ეხლა სრულიად შეუძლებელი გახდება...

პროფესსორები არამც თუ სრულიად დაკარგვენ ყოველგვარ ავტორიტეტს უნივერსიტეტში, არამედ მოკლებულნიც იქნებიან საშუალებას ცხოვრებაში გაატარონ უნივერსიტეტებში სწავლის რეორგანიზაცია.

თვით სათათბიროშიაც ცივად შეხვდნენ ახალ კანონ-პროექტს. ოქტომბრისტების პარტიის ზოგიერთი წევრებიც მისი წინააღმდეგნი არიან ყოველ შემთხვევაში ამ კანონ-პროექტის განხილვა დიდ-ხანს გასტანს და მომავალ წლის 1 იანვრისათვის ცხოვრებაში მისი გატარება არ მოხერხდება, თუმცა სახალხო განათლების მინისტრს ამ დროისთვის აქვს განზრახული მისი განხორციელება. სათათბიროს აზრად აქვს მის განსახილველად აირჩიოს კომისია 24 კაცისაგან შემდგარი.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

19 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობდა თავ. ვოლკონსკი. მომხსენებელი წინადადებას აძლევს, გაარჩიონ ერთად 21, 22, 23 მუხლები, რომლითაც რუს-ელემენტებს უპირატესობა ეძლევათ საერობო გამგეობაში. კომისია წინადადებას აძლევს, გამორიცხონ ეს მუხლები და სამაგიეროდ ჩაუმატონ ახალი, რომლითაც სახალხო განათლების გამგედ რუსი უნდა იყოს.

მემარჯვენე ორატორების სიტყვით 21, 22 და 23 მუხ. საკმაოდ ავიწროვებენ რუს ელემენტების უპირატესობას საერობო გამგეობაში, რის გამოც მათი გამორიცხვა და სამაგიეროდ ახალი მუხლის ჩართვა არაა საჭირო. მემარცხენენი ამტკიცებენ, რომ [illegible]

ლებს რეალური საფუძველი არა აქვთ. ისინი მხოლოდ აჩრდილებთან ბრძოლას წარმოადგენენ.

ჩიხაჩოვი კითხულობს მეოცდა ოთხე მუხლს. ამ მუხლით ქონებრივ ცენზის არ მქონე რუსთ ნება ეძლევათ დაიჭირონ ადგილები თავმჯდომარისა და გამგეობის წევრებისა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არ შესდგება.

**შინგარიოვი** და **როდიჩევი** თხოულობენ ამ მუხლის გამოკლებას.

მუხლი კომისიის რედაქციით მიღებულ იქმნა.

გასარჩევად წამოყენებულია მე-25, 26 და 27 მუხლები, რომლითაც სასულიერო წოდებას ნება ეძლევა იყოლიოს სამი რწმუნებული ერობაში და ოთხი კიდევ საგუბერნიო ერობის ყრილობებზე. ეწერება 34 ორატორი. მემარჯვენე და სასულიერო წოდების ორატორები თხოულობენ სასულიერო წოდების რწმუნებულთა რიცხვის გაძლიერებას დასავლეთ გუბერნიების ერობაში. მათის აზრით, სასულიერო წოდება უფრო ახლო სდგას ხალხთან და უფრო კარგად იცნობს მათ საჭიროებას; ამას გარდა ისინი მართლმადიდებელ სარწმუნოების დამცველნი იქნებიან ხსენებულ გუბერნიების ერობაში.

ზოგიერთი მემარცხენენი, საჭიროდ არა სთვლიან სასულიერო წოდების რწმუნებულთა რიცხვის გაძლიერებას ერობებში.

**როდიჩევი** ამბობს, რომ მღვდლებს უნდა მიეცეს უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, როგორც ყველა გადამხდელებს, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთათვის მათი უფროსების ბრძანება უფრო ძვირფასია, ვიდრე მათი სინიდისის ხმა. (დიდი ხმაურობა ატყდება. გაისმის ხმები: „ეს საზიზღრობაა, ეს აუტანელია". ტაშის ცემა მარცხნივ).

**თავმჯდომარე თავ. ვოლკონსკი** შენიშვნას აძლევს ორატორს.

**როდიჩევი:** თავმჯდომარეს სიტყვით და ბრძანებით, მღვდელთა შორის არ არიან ისეთები, რომელნიც სინიდისის წინააღმდეგ მოქმედებენ თავის უფროსების სასიამოვნოდ, მაგრამ სიმართლის დამალვა ყოვლად შეუძლებელია (ტაში მარცხნივ).

**ზამისლოვსკი** იცავს მთავრობის წინადადებას.

**ზვეგინცევი** (ოქტომ.) წინააღმდეგია, რომ ეკლესია ჩაერიოს პოლიტიკურ ბრძოლაში (ტაში მარცხნივ).

**კარაულოვი** ამბობს, რომ არ დაუწყებს პოლემიკას მემარჯვენეებს (მარჯვნიდან ისმის ხმა: „გაჩუმდი, კატორჟნიკო". დიდი ხმაურობა მარცხნივ).

**კარაულოვი** (მიმართავს მემარჯვენეებს) მართალია მე კატორგაში ვიყავი, ფეხებზე ბორკილები მედო და თავი გაპარსული მქონდა, მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ ამავე დროს გავბედე და მოვითხოვე, რომ თქვენ შეკრებილიყავით ამ ზალაში (ხანგრძლივი ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრში). მე გამასამართლა სამხედრო სასამართლომ სამხედრო წესების მიხედვით მისთვის, რომ, როგორც განაჩენშია ნათქვამი, მსურდა შემეცვალა რუსეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წეს-წყობილება; იმავე განაჩენშია ნათქვამი, რომ მე არ მქონდა სურვილი ძალ დატანებით ზომებისათვის მიმემართნა. (ხანგრძლივი ტაში მარცხნივ და ცენტრში). მე კატორგაში ვიყავი და ვამაყობ ამით, ვინაიდან იმ ომში, რომელმაც თქვენ აქ მოგიყვანათ, ერთი პატარა წვეთი ჩემი სისხლისაც ურევია, ეს კი უფლებას მაძლევს ღვთისა და საზოგადოების წინაშე გავამართლო ჩემი არსებობა. (ხანგრძლივი ტაშის-ცემა მარცხნივ და ცენტრში).

**თავმჯდომარე თ. ვოლკონსკი.** ბატონებო, ვიღაცამ კარაულოვს ადგილიდან არა-სასურველი სიტყვა დაუძახა და მე თუ შენიშვნა არ მივეცი ამის მთქმელს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, ვინ ჩაიდინა ეს საქციელი. ამ სიტყვაზე თვით დეპუტატმა კარაულოვმა გასცა პასუხი ბევრად უკეთ, ვიდრე მე შემეძლებოდა. (ხანგრძლივი ტაშის-ცემა მარცხნივ, ცენტრში და ნაციონალისტების ბანაკში). სათათბირომ მუხლ-მუხლად განიხილა კანონ-პროექტის მე-18 მუხლი.

შემდეგი კრება 19 მაისისათვის დაინიშნა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი.

### საზღვარ-გარედ.

**მაინის ფრანკფურტი.** „ფრანკფურტერ ცაიტუნგს" კალკუტიდან ატყობინებენ: გუშინ ღამ ლაგორში თავის სახლის ბანზე პოლიციის ინსპექტორს თავს დაეცნენ ბოროტგამძრახველნი და თავი გაუჩეხეს.

**ბინესი.** (ლილინსგოუს საგრაფო.) კინიელის ტყის ქარხანაში გაფიცული მუშები თავს დაეცნენ მომუშავე მუშებს. საქმეში პოლიცია ჩაერია. გაფიცულებმა უკან დაახევინეს პოლიციას და მუშებს სამუშაოზე ხელი აღებინეს. 50 კაცი ძლიერ დაშავდა.

**ტოკიო** ნემუროს ნავთსადგური ხოკიდოს ჩრდილოეთით საზღვაო ვაჭრობისთვის ღიად გამოცხადდა.

**სოფია.** სლავიანთა კონგრესის ორგანიზაციულ კომიტეტიულის სლავიანურ ქალაქებიდან კონგრესში მონაწილეთა სიებს რათა მერე მიწვევის ბარათები დაუგზანოს მათ.

**პარიზი.** სიუდლი-ტორალის რკინიმ გზას ჯარები იცავენ. მიღებულია ზომები რომ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა სწორედ სწარმოებდეს.

**პარიზი.** მოვიდა საბერძნეთის მეფე.

**ტოკიო.** კორეის გენერალურ პრეზიდენტად სონეს მაგივრად დანიშნეს გენერალი ტერაუჩი სამხედრო მინისტრის თანამდებობის შენახვით. გაზეთები ამაში კორეის შეერთების პირველ ნაბიჯს ხედავენ.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** გუშინ ოსმალეთის ჯარებმა უბრძოლველად დაიჭირეს დიაკოვო. შტაბით მივიდნენ მაჰმუდშევკეთ-ფაშა და თურგუთ-ფაშა. მთავარი ბინა პრიზრენში გადაიტანეს.—დრენიცის მეამბოხენი პოდრიმლის იქით არ წასულან. მათ კვლავ შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ იარაღს არ დაჰყრიან. დიბრის, ლიმის: მალესიის და დიაკოვოს აჯანყებული მცხოვრებნი დიაკოვის დასავლეთით ბატუხის, იანიკის და ჩერნობრეგის სოფლებში გამაგრდნენ. ამ სოფლების რამდენიმე ათასმა მცხოვრებმა მთებს შეაფარა თავი.

**სტამბოლი.** ათინიდან ოსმალეთის ელჩი ატყობინებს თავის მთავრობას: ვენიზელოსმა განუცხადა კრიტეს დამხმარე სახელმწიფოების ელჩებს, რომ კრებაზე მაჰმადიანების წარმომადგენელთ არ დააფიცებენ და მაჰმადიან მოსამართლეებს და სხვა თანამდებობის პირთ თავისუფლად შეუძლიანთ სამსახურის ასრულებაო.

**თეირანი.** სპარსეთის პრინცი შაჰრუდ-დარაბ მირზა, რომელიც რუსეთის სამსახურში ითვლებოდა და ყაზვინში ლაპინის ყაზახთა პოლკის ასეულს უფროსობდა, მაისის დამდეგს მთავრობას დაეთხოვა და ყაზვინიდან წავიდა, მაგრამ გზიდან თხოვნა გამოუგზავნა მთავრობას და სამსახურიდან გადადგა. როგორც ეხლა გამოირკვა ის ზენჯანში წასულა სპარსეთის წინააღმდეგ ხალხის ასაჯანყებლად. ყაზვინიდან 60 ყაზახი გაიგზავნა ორი აფიცრით დარიბ-მირზას შესაპყრობად. იგი რუსეთის სამსახურიდან უკვე დაითხოვეს.

### ჰაერში ფრენა.

**ვარშავა.** ავიატორი გრანი საცდელად გაფრინდა ბლერიოს აპარატზე. ჰაერში დაჰყო 4 წუთი და 40 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

### რუსეთი

**ვლადივასტოკი.** 17 მაისს საღამოს ხუთ საათზე წყლის ქვეშ მავალი ნავი „ფორელი" ჩაიძირა, მაგრამ ენერგიული ზომების წყალობით დაღუპვას გადაარჩინეს, არავინ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** ახალ საუნივერსიტეტო წესდების განსახილველად ამორჩეულ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს კაპუსტინი.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრის ამხანაგმა შჩუკინმა გახსნა რაიონულ კომიტეტების კრება.

**პეტერბურგი.** სამხედრო საოლქო სასამართლომ 63 კაციდან, რომელთაც 33 შეიარაღებული ძარცვაგლეჯა ბრალდება, ოცდა ცხრას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რვას ტუსაღთა განყოფილება, ოთხს საპატიმრო, ერთს გამასწორებელი თავსაფარი, ხოლო 13 გაამართლა.

**უსტ-სისოლსკი.** საგანგებო საერობო კრებამ დაადგინა ქალთა გიმნაზიის შენობის ასაგებად ოთხი წლის განმავლობაში მისცეს 60,000 მან., ვაჟთა გიმნაზიას ყოველ წლიურად აძლიოს 5000 მანეთი, და მომავალ წლიდან გახსნას კერძო დაბალი სახელოსნო სკოლა.

**პეტერბურგი** შეიპყრეს ექიმი პანჩენკო ამას წინად გარდაცვალებულის შინგან საქმეთა სამინისტროს მოხელის ბუტურლინის ნათესავი. მათ მემკვიდრეობის მიღების მიზნით განსვენებულის მოწამვლა ბრალდებათ ტანში წამ ოის ჩაშვების გზით.

**პეტერბურგი.** მდინარე ნევაზე პატარა გემზე შეიპყრეს სამი ყალბი ფულის მჭრელი. შეპყრობილებს ფულის საჭრელი იარაღები აღმოაჩნდათ.

**ეკატერინოსლავი** 16 მაისს ღამე სლავიანოსერბის მაზრაში უცნობებმა გასცარცვეს მონასტერი. ყუმბარით დაზიანდა მონასტრის მოძღვრის სახლი, მძიმედ დაიჭრა იღუმენი, მსუბუქად ერთი მღვდელი. ყაჩაღებმა 60 მანეთი გაიტაცეს.

**მოსკოვი.** მაძიებელმა პოლიციამ აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების ფარული კრება. ყველანი შეიპყრეს.

**ოდესა.** ღამე სენატორის ბრძანებით გაჩხრიკეს ფრენკელის და ბლოხის ნიკოლაევის საექსპორტო კანტორა. წაიღეს წიგნები და სხვა და სხვა დოკუმენტები.

**პეტერბურგი.** „სავაჭრო სამრეწველო გაზეთი"ს ცნობებით მოსავალს კარგი პირი უჩანს თავრიდის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში, დონის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში, პოლტავის, კურსკის, ორლოვის, ტამბოვის, სარატოვის, პენზის, ნოვგოროდის, სმოლენსკის, უფიე და სხვ. გუბერნიებში. სუსტი მოსავალი ეტყობა ტულის, ნიჟეგოროდის, ციმბირს, ყაზანის და სხვა გუბერნიებს.

**ჩერნიგოვი.** სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ბარსუკოვს 1907 წელს [illegible] გუკოვების მოსახლეობაზე შეკვლელობაში მონაწილეობისათვის.

**ოდესა.** უპატრონო ებრაელ ბავშვთა მზრუნველობის საზოგადოებაში, სადაც საინტენდანტოსთვის ტანისამოსს ამზადებდნენ სენატორის რევიზიამ აღმოაჩინა 6000 არშინი ტილო, რომელიც უკანასკნელ შეკვეთის შემდეგ გადაერჩინათ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს ფინლიანდიის კომიისიამ დაადგინა, რომ ფინლიანდიის საკანონმდებლო დაწესებულების წარმომადგენელნი უნდა იღებდნენ მონაწილეობას არა მარტო ფინლიანდიის შესახებ საქმეებში, არამედ ყველა საქმეების განხილვაში.

**ვორონეჟი.** სამხედრო სასამართლოში დაიწყო ყაჩაღ გუსევის ჯგუფის საქმე, რომელიც 1908—1909 წლებში ვორონეჟში თარეშობდა. მათ სხვათა შორის ბრალდებათ სასამართლოს გამომძიებლის პოჟიბიროვსკის მოკვლა. გამოწვეულია 50 მოწმამდე. გარჩევაზე არავის უშვებენ.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა გროზნის ციხის უფროსის და ზედამხედველის საჩივარი, რომელთაც ტფილისის სასამართლო პალატამ უმოქმედობისათვის ოთხი თვით საპატიმრო გადაუწყვიტა.

**სამარა.** მდინარე ვოლგაზე მეშკოვის გემზე დაიწვა 19,000 ბოჭკა ცემენტი. ზარალი 750,000 მანეთია. ჰფიქრობენ რომ გემს განგებ გაუჩინეს ცეცხლი მოსამსახურეებმა.

### ხოლერა

**დონის როსტოვი.** იყო ოთხი შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა; მოკვდა ერთი.

**მინსკი.** ლოევში, რეჩიცკის მაზრაში, იყო ოთხი შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა; ერთი მათგანი გარდაიცვალა.

**პოლტავა.** კრემენჩუგში კიევიდან მოსულ გემზე ერთი ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა.

# მუნიციპალური სოციალიზმი

IV.

**ეკონომიური ნაწილი.**

ამ ნაწილში სოციალისტური პროგრამმა პირველ ყოვლისა **მუნიციპალიზაციის** საკითხზე ჩერდება. იგი თხოულობს წყლის მიწოდების, განათების, მისვლა-მოსვლის და სხვა საერთო—სასარგებლო ქალაქის საქმეთა და დაწყებულებათა მუნიციპალიზაციას. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს ქალაქის საქმეთა წარმოებაში ისეთი სისტემის დადგენას, როდესაც ამ საქმეების ექსპლოატაცია თვით ქალაქის მართველობათა პირდაპირ გამგეობასა და განკარგულებაში იმყოფება. პრაქტიკული გამოხატულებით ეს მოთხოვნა შეიცავს: ერთის მხრით, კაპიტალისტების (კამპანიებისა და კერძო პირების) ხელიდან გამოცლას, ექსპროპრიაციასა თუ შესყიდვის საშუალებით, არსებულ კონცესსიათა, კომმუნათა ან კომმუნათა სინდიკატების გამგეობაში გადასაცემად; მეორეს მხრით, იმას, რომ ქალაქებს სრულიად უნდა აეკრძალოთ მიმართონ ექსპლოატაციის კონცესსიურ წესს მისთანა საქმეების წარმოებაში, რომელნიც ჯერ მხოლოდ პროექტის სახით არსებობენ ან წარმოიშობიან მომავალში. საზოგადოებრივ წარმოებათა ასეთი ექსპლოატაციის აზრი მდგომარეობს მასში, რომ ა) მოგება, რომელსაც იძლევა ეს თუ ის საქმე უნდა გადადიოდოს არა ერთისა ან რამდენიმე მდიდრის ხელში, არამედ საზოგადოებრივ კავშირის განკარგულებაში საზოგადოებრივ საჭიროებათათვის, გარდასახადთა შემცირებისათვის და მოსპობისათვისაც კი, მომავალში მაინც; ბ) ქალაქის სამრეწველო საქმეთა წარმოება დადგება რაციონალურ საფუძვლებზე და ამ გვარად მათ ჩამოშორდება ყველა ის ბოროტმოქმედებანი და ნაკლნი, რომელნიც თანა სდევს კერძო კაპიტალისტურ ორგანიზაციას; გ) რაც მეტად საყურადღებოა, გაიაფდება საზოგადოებრივ სამსახურით სარგებლობაც კი, რათა ეს სამსახური (წყალი, განათება და სხ.) ყველასთვის ხელმისაწვდენი შეიქმნეს.

იმ სიხარბეს დივიდენდების მიღებისადმი, რომელსაც ქალაქის მეურნეობის საქმეებში იჩენენ კერძო კაპიტალისტები, შედეგათ მოსდევს მრავალი ბოროტმოქმედება როგორც მომხმარებელთა, ისე მუშათა და კონტრაგენტთა, ესე იგი ქალაქების მიმართ. კონცესსიონერები, რომელნიც ჩვეულებრივ განსაზღვრული დროით არიან შეზღუდულნი, რასაკვირველია, არ არიან დაინტერესებულნი მასში, რომ ახალი გამოგონილებანი საქმეში შეიტანონ, ტეხნიკური თუ სხვა გაუმჯობესებანი შემოიღონ, ან თვით საქმეს იმგვარათ მოუარონ, ისე გაუფრთხილდ ენ, რომ კონცესიის ვადის გასვლისას მას არ დასჭირდეს დიდი ერთ-დროული ხარჯი მის შეკეთებაზე.

კონცესსიურ წესის ცუდი მხარეები უფრო მეტად საგრძნობელია მაშინ, როდესაც ქალაქის მეურნეობა ორ-ნაირის სისტემით სწარმოებს, ესე იგი როდესაც საქმეთა ერთი ნაწილი კონცესსით არის გაცემული, ხოლო მეორე ქალაქის მმართველობის ხელშია. თავის-თავათ ცხადია, რომ, როდესაც ორი პატრონია და ყოველი მათგანი ცალკე მოქმედებს, ამას თან მოსდევს ორკეცი ხარჯები საქმის თავდაპირველ მოწყობაზე, ადმინისტრაციაზე და სხ. მაგ. გაზი და ელექტრონის ექსპლოატაციის შეერთება ერთობ სასარგებლოა ეკონომიურათ, ვინაიდგან იმ სითბოს, რომელსაც ჩვენ ქვანახშირიდან ვღებულობთ გაზის წარმოშობის დროს, შეუძლია, თუ მას ორთქლათ ვაქცევთ, მოძრაობაში მოიყვანოს მოტორები. მაშინ როდესაც ორ პროდუქტის ექსპლოატაცია ერთი მეორესაგან დამოუკიდებლათ, ხდება ქარხანაში სულ ტყუილ-უბრალოთ იკარგება ზედმეტი სითბო, რომელსაც ელექტრონის სადგური საჭიროებს და რომლის მოსაპოვებლათ ფულის დახარჯვაა საჭირო, ან და, ერთ ელექტრონის სადგურს ადვილად შეუძლია გაუძღვეს როგორც ქალაქის განათების საქმეს, ისე ტრამვაით მოძრაობისას: დღით მისცეს ენერგია ტრამვაის, ღამით განათებას. ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია, თუ მუნიციპალურ საქმეებს ორი ან კიდევ მეტი პატრონი ჰყავს. ყველა ეს ზედმეტი უსარგებლო ხარჯები, შერეულის სისტემის წყალობით გამოწვეულნი, სარგებლობის სხვა-და-სხვა ტარიფებს ადიდებს, და მაშასადამე, მძიმე ტვირთათ აწვება ყველა მცხოვრებთ. ასეთ პირობებში ყოვლად შეუძლებელი ჰხდება ქაქალაქის დაწესებულებათა რეორგანიზაციაც ერთის საერთო გეგმის და მცხოვრებლების საჭიროებათა მიხედვით. *)

რაიმე ალტრუისტულ მისწრაფებებზე ზრუნვა სააქციონერო საზოგადოებათა, ამხანაგობათა ან კერძო მრეწველთა მხრივ იმ საქმეებში, სადაც ეს უკანასკნელნი ქალაქის მაგიერობას სწევენ, ისეთი შეუსაბამო რამ არის, რაიც პირდაპირ მათ ბუნებას, მათ არსებობის მიზანს ძირითადათ ეწინააღმდეგება. წარსულის გამოცდილება უცილობელის სიცხადით გვიჩვენებს, რომ კონცესსიურ გზას ყველგან ერთი და იგივე სამწუხარო შედეგები მოსდევს. ერთათ ერთი მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობს კონცესსიონერი ეს გახლავს რაც შეიძლება მეტის მოგების მიღება და ისიც იმნაირათ, რომ რაც შეიძლება ნაკლებ დაიხარჯოს შრომა და კაპიტალი. იმას კი, რომ მცხოვრებთა ინტერესებისათვის ეს დიდათ და დიდათ მავნებელია, ის არას დასდევს. სააქციონერო კომპანია მისთვის არსებობს, რომ დივიდენდები აიღოს. იგი ვერ იტანს დეფიციტების კრიზისების დროს. თუ დეფიციტები ხანგრძლივია, იგი იძულებულია ან ხელი აიღოს დაწყებულ საქმეზე ან არა და განაგრძოს იგი მომავალის იმედით, როდესაც იგი შეუდგება უფრო ფართო ექსპლოატაციას და, მაშასადამე, ერთიორათ და ერთი-სამათ აღადგენს თავის წარსულ დანაკარგს. მცხოვრებთა ინტერესები, მტაცებლობით ინსტიქტების უქონლობა, ღარიბღატაკთა მდგომარეობის შემსუბუქება პირველ საჭიროების პროდუქტების მიცემით ხელ-მისაწვდომ ფასათ,—ეს ისეთი ცნებებია, რომელნიც სააქციონერო საზოგადოებათა რეგლამენტებში არ არსებობენ და ვერც იარსებებენ.

მაშინ როდესაც ამ გვარი საზოგადოებანი მხოლოდ და ერთიანათ მოგების მიღებაზე არიან დამყარებულნი, ქალაქს თავის განსაკუთრებულ მიზნათ მომხმარებელის ინტერესი აქვს. იგი არც დივიდენდებს ურიგებეს ვისმეს და არც დეფიციტების ეშინია. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა ფინანსიურ მოსაზრებათ ქალაქის მეურნეობაში მეორე ხარისხოვანი როლი უკავია, მაშინ როდესაც კერძო მრეწველობაში სრულიად წინააღმდეგს ვამჩნევთ. ამას ადვილათ შევამჩნევთ თუნდ მაგ. მუშათა საკითხში. რაც არ უნდა ვსთქვათ, ერთ რასმეს მაინც ვერ უარვყოფთ, ეს იმას, რომ, კერძო მრეწველთა მოღვაწეობასთან შედარებით, დასავლეთ ევროპის ქალაქებს, განათლებულ სახელმწიფოებში მაინც, ბევრი რამ გაუკეთებიათ სოციალურ პოლიტიკის სფერსაში. სხვა და სხვა სახელმწიფოში და სხვა და სხვა დროს მომხდარ ანკეტებიდან ამოღებული ციფრები შრომის მდგომარეობის შესახებ ცხადათ ამტკიცებენ როგორც სამუშაო ფასის მომატებას, ისე სამუშაო დღის შემცირებას ყველა მუნციპალურ სამრეწველო დარგებში. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მუშები მუნციპალიტეტთა განკარგულების ქვეშ მუშაობას უფრო ეტანებიან, ვიდრე კერძო კაპიტალისტების უსაზღვრო ბატონობის ქვეშ.

თუ საქმის დასაწყისისათვის ან შემდგომ რაიმე გაუმჯობესობისათვის საჭიროა კაპიტალები, ქალაქს შეუძლია მიმართოს სესხებს, ხშირად მეტად იაფ სესხებს*), რაიც მძიმე ტვირთად არ დააწვება მის ბიუჯეტს, მეტადრე იმ შემთხვევებში, როდესაც ის საქმე, რომლისთვისაც სესხულობენ, მომგებიანია. მაშინაც კი, როდესაც კომმუნა, მეტის-მეტის დავალიანებისა და მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის გამო, ვერ პოულობს იაფ კრედიტს, იძულებულია ხელი აიღოს სესხებზე და, მაშასადამე, იმ აზრზედაც, რომ თავისი საქმენი თვით აწარმოოს,—ამ შემთხვევაშიც კი სოციალისტები არ ურჩევენ ქალაქების ბატონ-პატრონთ კერძო კაპიტალისტების სამსახურით სარგებლობას. რას ურჩევენ სახელდობრ ისინი ამ შემთხვევაში?**) საქმეთა გარდაცემას მუშათა ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ ასსოციაციებზე, რომელნიც მოახერხებენ მათ შესრულებას ან წარმოებას სოციალისტურ პირობებში. ხოლო ამასთანავე საჭიროა ზოგი რამ გარანტია: გარდა ტეხნიკურ, ფინანსიურ უნარისა (ეს მოთხოვნილება, ღვთის წინაშე, ერთობ შემცირებულია საქმის ამღებ მუშათა სასარგებლოდ) საჭიროა, რომ კოოპერატიულ ასოციაციების წევრნი ნამდვილი მუშები იყვნენ (ასე, მაგ., საფრანგეთისათვის თხოულობენ, რომ ასოციაციათა წევრნი იმ სინდიკატებს ეკუთვნოდნენ, რომელნიც შეუერთდნენ შრომის საერთო კონფედერაციას Confédération générale du Travail).

მართალია, როდესაც ქალაქი სამრეწველო საქმეებს თვით განაგებს ანუ ეგრედ-წოდებულ ოჯახურის წესით აწარმოებს, მას გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვს, ვიდრე კერძო პირებსა და კომპანიებს, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს, თუ გნებავთ, ასეთის წესის მთელი სიკეთე: იმ ქალაქებმა, რომელნიც მოგებას არ გამოჰკიდებიან, მოახერხეს ყველგან და ყოველისფერში, ტარიფების შესამჩნევათ დაკლება, უკეთესის ხარისხის პროდუქტის (წყლისა, გაზისა და სხ.) მიცემა, საქმის და შრომის პირობათა გაუმჯობესობა, როგორც ნივთიერის მხრივ, ისე მუშათა კლასის სხვა და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ. მაშასადამე,

*) Albert Tanger „Uers la régié directe", გვ. 6-10.

*) მაგ., ქალაქ პარიზის უკანასკნელი სესხი 1905 წლისა—$2\frac{3}{4}\%$-იანი იყო, 1904 წლისა—$2\frac{1}{2}\%$-იანი და 1898 და 1899 წლების -$2\%$-იანი.

**) Alvert Ihomas «Le socialisme et les tunicip.», გვ. 24—25.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ სასამართლოში.** 19 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო საქმე მაძებარ პოლიციის ყოფილ უფროსის მაჩანსკისა და დამცველ განყოფილების ორის აგენტისა. მათ ბრალდებოდათ ის, რომ პროვოკაციულ აზრით ტფილ. მცხოვრებს მუმლაძეს ფანჯარაზე ყუმბარა დაუდეს. მოწმეთა დაუსწრებლობისა გამო საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

**✦ სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.** 23 მაისს სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება მოჰხდება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ბანკის გამგეობის თავჯდომარე ნაცვლად ანტონ ფურცელაძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა და აგრეთვე თანამდებობის სხვა პირნი.

**✦ გამართლება.** 18 მაისს ქუთაისში ტფილისის სამხედრო სასამართლოს სესიამ გაარჩია თევდორე ბუზიანიძისა და ალექსი ფხაკაძის საქმე. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. ამას გარდა ბუზიანიძეს ბრალდებოდა სადგურ მუხიანში რკინის გზის ლიანდაგის აყრა და ტელეგრაფის მავთულების გაფუჭება. სასამართლომ ორთავე ბრალდებული გაამართლა.

**✦ სამხედრო საკრებულო.** დღეს ქალაქის სამხედრო საკრებულოს წევრთა კრება მოჰხდება ახლად გამოცხადებულ ჯარის კაცთა შესამოწმებლად

**✦ მათხოვრების შეპყრობა.** 18 მაისს პოლიციამ ქალაქის მეექვსე უბანში 11 მათხოვარი შეიპყრო. მათხოვრებს თავიანთ სამშობლოში გზავნიან.

**✦ უპასპორტონი.** 18 მაისს პოლიციამ პირველ და მეორე საპოლიციო უბანში მასიურ ჩხრეკის დროს 15 უპასპორტო შეიპყრო.

**✦ ახალი წიგნები.** „სორაპნის" სტამბაში დაიწყეს აწყობა ივ. როსტომაშვილისაგან გამოცხადებულ სახალხო და საყმაწვილო წიგნებისა. პირველი ხუთი წიგნი—„თვით-მოქმედება", „თვით-განვითარება," „ვენახის გაშენება-წამლობა," „ღვინის დაყენება—წამლობა" და „პურის მოყვანის საუკეთესო ცნობანი და სისტემები" გამოვა თიბათვის გასვლამდის და მაშინვე დაურიგდება ხელის-მომწერთ.

**✦ თავის მოწამლვა.** 18 მაისს ლიუტერანთა ქუჩის მცხოვრებმა პოლინა ივანეს-ასულმა ანტონოვამ თავის მოკვლის განზრახვით ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიში არ არის.

**✦ შეწირულება.** ნამესტნიკმა გრაფ ე. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა თავის მეუღლით მცხეთის სამთავრისის ქალთა მონასტერს 300 მანეთი შესწირა.

**✦ ჭლექთან ბრძოლა.** დღეს, 20 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოჰხდება. კრება ნაშუადღევის 5 საათზე დაიწყება.

**✦ ნ. ფ. ვებერის დამარხვა.** გუშინ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე მიწას მიაბარეს გვამი ნამესტნიკის კანცელარიის საქმის მწარმოებლის უფროსის თანაშემწის ნიკოლოზ ფედოტის ძე ვებერისა, რომელიც რამდენიმე დღის წინად ინჟენერმა კოლიუბაკინმა მოჰკლა. დამარხვას დაესწრენ სენატორი ვატაცი, ნამესტნიკის კანცელარიის მოსამსახურენი და გარეშე ხალხი.

**✦ სწრაფი დახმარება.** სწრაფი დახმარების საზოგადოების კომიტეტმა ვენიდან დეპეშით გამოიწერა ეტლი ღირებული 1,200 მან. ტფილისში უბედურ შემთხვევების დროს სწრაფი დახმარების აღმოსაჩენად.

**✦ მუზეუმი.** ტფილისის ქალაქის მუზეუმის მოსაწყობად ქალაქის გამგეობაში უკვე დაიწყო შემოწირულებანი სხვა და სხვა გრავიურებისა და გეგმებისა. ექ. კ. მ. თამამშევმა შესწირა ტფილისის და სხვა ქალაქების ძველი გერმანული და ფრანგული გრავიურები მე-14 საუკ. ა. ი. ქიშმიშოვმა—წარსული საუკუნის მეოცე წლეების ტფილისის ძველი ნაწილს გეგმა.

**✦ ახალი წიგნი.** ამხ. „ალიონის" მიერ გამოცემული „გლეხიკაცის ისტორია" გამოვიდა და ტფილისის ხელის მომწერლებს უკვე დაურიგდათ. უკვე პროვინციებშიც ჰგზავნიან.

**✦ ჯარიმები** გენერალ-გუბერნატორმა იარაღის ნებადაურთველად ტარებისათვის ტფილ. მცხოვრები პროკოფი შელია 10 მან. დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ხუთი დღით დააპატიმრებენ. გუბერნატორმა 50 მან. დააჯარიმა ილია გოჩაშვილი პოლიციელის შეურაცყოფისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის თვით დააპატიმრებენ.

**✦ გამოქცეული ჯარისკაცები.** 18 მაისს პოლიციამ შეიპყრო ჯარისკაცნი ივანე მათეს ძე საშკუნასი და ივანე ზაქარიას ძე კურეპკიკი, რომელნიც ბაქოს მე-153 ქვეით პოლკიდან გამოიქცნენ და დღემდე ტფილისში იმალებოდნენ.

**✦ აკაკის ლექცია.** კვირას ქართულ თეატრში შუადღის 12 საათზე, მგოსანი აკაკი წერეთელი წაიკითხავს სახალხო ლექციას ამ თემაზე: „არქეოლოგიური ნაშთები ძველი საქართველოსი," ეს ლექცია აკაკიმ ქუთაისშიც წაიკითხა.

**✦ 16 მაისს** სასახლის ეკლესიაში ეგზარხოსმა სამღვდელო პირთა თანადასწრებით აკურთხა იღუმენად სამთავრისის უძველეს მონასტრის უფროსი ნინა. (ბარათაშვილისა). კურთხევას დაესწრო ნამესტნიკის მეუღლე და სხვა თანამდებობის პირნი.

## ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრება

15 მაისს დამთავრდა მარგანეცის მრეწველთა XIII კრება. უნდა აღვიაროთ, რომ ამ კრებაზე მრეწველობისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი საგნები გადასწყდა. ამ მხრით კაცმა სთქვას მარგანეცის მრეწველთა კრებები ფრიად განირჩევიან სხვა ჩვენის კრებებისაგან. ეს კრება კი მით უფრო საინტერესო იყო, რომ აქ გამოირკვა, რამდენად უკბილო, უშინაარსო და უსაფუძვლოა ის ყაყანი, რომელიც მარგანეცის მრეწველთა კრების საქმეების გარეშემო ტრიალებს და რამდენად განვითარებული და შეგნებული არის ჭიათურის მარგანეცის მრეწველი თავის საზოგადო საქმის მოწესრიგებაში. ეს მრეწველობა ერთად ერთია, რომელიც ჯერ-ჯერობით კიდევ ქართველების ხელშია და იმდენ უნარს იჩენს ქართველი კაცი ამ საქმეში, რომ ძალაუნებურად პატივისცემით ეპყრობი მათ. თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ ქართველი მრეწველი მოკლებულია თავის ქონებას, არა აქვს ფული ხელში დასატრიალებელი, თუ გაიხსენებთ, რომ ჩვენ ხელში არ არის არც ერთი დიდი და ღონიერი საკრედიტო დაწესებულება, უცხოები კი ქართველ მრეწველს აბუჩად იღებს, გაოცებაში მოდიხართ იმათაც, რაც გაუკეთებია ჭიათურის მრეწველს ვაჭრობა მრეწველობაში ბევრად უფრო სუსტად შეიარაღებულს ვიდრე მისი მრავალგვარი მეტოქე. როგორც კი ჭიათურის მრეწველობაში ტეხნიკური გაუმჯობესობა რამე შემოვიდა ქართველებმაც იმავე წამს, თავისი სუსტი ძალღონით მოჰკიდეს ხელი და ამ საგანში თავის უცხო მეზობლებს თუ არ გაასწრეს, არ ჩამორჩენია. მართალია კრიზისი უმეტესობას წელში სწყვეტს, მაგრამ ამასაც უძლებს და თან და თან სცდილობს ისე გაიმაგროს თავისი თავი, რომ კრიზისმა ვეღარ ავნოს.

მრეწველობის საზოგადო საქმეში, კრებების მართვა-გამგეობაში კი ჭიათურის მრეწველებმა გამოიჩინეს ფრიად შესაშურებელ საქმის სიყვარული და ერთგულება. იმ თავითვე შეჰხედეს თავიანთ კრებებს, როგორც საზოგადო მნიშვნელობის დაწესებულებას, რომელსაც მათი პირადი ინტერესების დაცვაშიაც დიდი ადგილი და მნიშვნელობა ექნება და ამიტომ მთელის თავისის ძალ-ღონით ჩასჭიდეს ხელი და ხელი მოუმართეს მას. ამ დაწესებულების დაუძინებელი მტრობა იკისრეს იმ თავითვე უცხოეთის ვაჭრებმა, რომელთაც არავითარი საერთო ინტერესი არა აქვთ ადგილობრივ მრეწველებთან, ცილის-წამებაა, საზიზღარი და უშვერი იმისი თქმა, ვითომ ჭიათურის მრეწველთა კრებას საომარი დროშა გამოეფინოს და უცხოელ ვაჭარ-ექსპორტერთა მადნის საზღვარ-გარეთ გამტანთა წინააღმდეგ ბრძოლა თავის მოვალეობად დაესახოს. ცნობილი პუბლიცისტი ბ. ნიკოლაძე ეს 1-2 წელიწადია Urbi et orbi, ყველგან იმას ამტკიცებს ჭიათურის მრეწველები სდევნიან „საბრალო" ექსპორტერთ, თვით კი საქმის არა გაეგებათ რა, ბრბოა უგუნური და უმეცარი, საჭიროა მათ უფლებანი ჩამოვჰხადოთ და მეცნიერი-ბრძენი ექსპორტერები გავაბატონოთ ამ საქმეში. ამისთანა საზიზღარის ცილისწამებით აღსავსე ჭორების გამავრცელებელ ადამიანს სხვა ქვეყანაში ენის ამოღება გაუჭირდებოდა მეორე ჯერ ჩვენს დალახრჩულს დაგლახაკებულ ქვეყანაში კი, ამ ვაჟბატონს „საზოგადო მოღვაწის" ტიტული კიდევ არ ჩამოჰხადეს და კიდევ მოწიწებით იხსენიებენ მის სახელს.

საქმე სულ სხვა გვარად მიდიოდა. ექსპორტერები ყოველთვის მძლავრ და დაუძინებელ წინააღმდეგობას უწევდნენ მარგანეცის მრეწველთა კრებას, ყოველივე საქმიანობას ამ კრებისა და მისის წარმომადგენლებისას მახეს უგებდნენ და მარტო იმასა სცდილობდნენ, რომ კრება და საბჭო თავის კანტორად გადაექციათ, მათის კერძო წვრილმანის საქმების კანცელიარად შეექმნათ. ბ. გიორგი ზდანოვიჩმა იმ თავითვე საქმეს თავისი კანონიერი მსვლელობა მისცა და ადგილობრივ მრეწველთა ინტერესის დამცველობა თავის მოქმედების პრინციპად აღიარა. სრულიად ტყუილია და გაბრაზებულის დაბნეულის გონების ნაყოფი ის ჭორი, ვითომ ბ. ზდანოვიჩს ექსპორტერების შესახებ შევიწროების პოლიტიკა ეწარმოებინოს. წინააღმდეგ იგი მარტო წესიერ მოგერებით პოლიტიკას ადგა და ერთს რასმე იცავდა, მას რომ მრეწველთა კრება ყოფილიყო ისეთი დაწესებულება სადაც ადგილობრივი ინტერესები დამცველი იქმნებოდნენ ისე, რომ არავის არავითარი შეურაცხყოფა და ზარალი არ მიადგებოდა. ხოლო როცა უცხოელები მოინდომებდნენ ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესის შებღალვას მაშინ ბ. ზდანოვიჩი, რასაკვირველია თავგამოდებით წინააღმდეგობდა ასეთს კანონების სურვილს. გამწარებულ მრეწველთ ხშირად მოუნდომებიათ ექსპორტერთ უცხოელ ვაჭრების ძალზედ ალაგმვა, მოუნდომებიათ ყოველგვარის კავშირის მათთან შეწყვეტა, მაგრამ ბ. ზდანოვიჩი მაშინაც წინა აღდგომთა ასეთს უკიდურესობას და ყოველთვის თავისი გავლენა უხმარია, რომ ექსპორტერების შესახებ მოქცევა ყოველთვის ზრდილობიანი და თავდაჭერილი ყოფილიყო. ჭიათურის მრეწველნი ყოველთვის მორიგების პოლიტიკას ადგნენ, ექსპორტერები კი ყოველთვის შესევისას და ეს შესევა იქამდის მიდიოდა, რომ ურიგო საქციელსაც კი ჩაიდენდნენ ხოლმე, ხანდისხან ბ. ნიკოლაძის „უმაღლესის მფარველობის" ქვეშაც (საჩივრები სხვა და სხვა უმაღლეს დაწესებულების წინაშე).

ნიკოლაძე მეორე ჭორსაც ავრცელებდა ჭიათურის მრეწველთა შესახებ. ჭიათურის მრეწველთა [illegible] ლობეა რასაკვირველია, ბ. [illegible] ძისთანა კაცებს, რომელნიც გუჩკოვისა და სტოლიპინის კანცელიარიებში ადამებენ და ათენებენ, ადვილად შეუძლიათ ამ დაბალ ლობეზედ გადახტომა, მაგრამ ლობე ძალიან მაგრად არის გაკეთებული და უფრო ადვილად გადამხტომს მოტყდება ხოლმე კისერი. ბ. ნ. ნიკოლაძესაც ამ გადახტომა გადამხტომაში კისერი მოსტყდა, რამდენადაც შეიძლება კისერი მოტყდეს საზოგადო მოღვაწეს. ბ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, თავის სააგიტაციო წერილებში, რომ ჭიათურის მრეწველები გაუნათლებელი, გონება დაბნელებული ხალხია და არა გაეგება რა არც წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესობისა და არც ტარიფებისა და სხვათ. საკმაოა გადაათვალიეროთ კრებების ოქმები და ნახავთ, რომ ყოველივე ტეხნიკურის გაუმჯობესობის წინააღმდეგნი მარტო ექსპორტერები იყვნენ და იყვნენ სწორედ იმიტომ, რომ არ უნდოდათ საზოგადო კრების ხელში ყოფილიყო ამგვარი რამ, რადგან კარგად იცოდნენ, მაშინ წვრილ მრეწველებსაც შეეძლოთ ესარგებლნათ ამ ტეხნიკურის მოწყობილობით, ეს კი მათ გადასაყლაპავათ მომზადებულ ლუკმას ხელიდან აცლიდა. ეს კარგად ესმის ბ. ნიკოლაძეს, მაგრამ ასე ჰგონია რასაც იტყვის ჯასავალი აქვს და ლაპარაკობს „უპრაგონოდ" ჩვენში რომ იტყვიან. წრევანდელმა კრებამ ნათელჰყო თვით მათთვისაც კი ვინც ბ. ნიკოლაძისაგან მომართულნი იყვნენ, რომ ექსპორტერები ყოველივე არა-საკადრისს ხერხს მიმართვენ ოღონდ კი ხელი შეუშალონ მარგანეცის მრეწველთა კრებას რაიმე ტეხნიკური გაუმჯობესობა შეიტანოს მრეწველობაში. წრევანდელმა კრებამ თვით გარეშე პირთათვისაც დაადასტურა, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველები არავის არ ებრძვიან და არავის ჯვაროსნობის ომს არ უცხადებენ, იგინი სცდილობენ მათ კანონიერ ალაგმვას ვინც სცდილობს ამგვარ პოლიტიკას დაადგეს და სცდილობენ თავისი-თავის შემოსევისაგან დაიფარონ; ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჭიათურის მრეწველნი სცდილობდნენ ყოველთვის ტეხნიკური გაუმჯობესობა შეეტანათ მრეწველობაში; მაგრამ ამას წინ უდგნენ ექსპორტერები და ხშირად სხვა და სხვა ხრიკით აჩერებდნენ კრების ამგვარ მოქმედების შესუსტებას.

ტარიფის საქმე არ ესმისთ ჭიათურის მრეწველთო, ბრძანებს ბ. ნიკო-

---

ნაკლები შემოსავალი ნაყოფიერ, სასარგებლო მოღვაწეობის შედეგი ყოფილა, შედეგი ყოფილა იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობათ მიზნათ დაუდვიათ მცხოვრებთა ინტერესების სამსახური და არა მოგების ამოღება. თუ ეს ასეა, მაშ სოციალისტები მუნიციპალიზაციის იდეის დაცვისათვის გასაკიცხნი კი არა, არამედ საერთო გამოქომაგების-და მოწონების ღირსნი არიან.

არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ხოლმე პირდაპირი მართვა-გამგეობის მოწინააღმდეგეთ. ეს გახლავს ადმინისტრატიული უნარი, რომელიც ვითომც მეტათ აკლიათ ქალაქის მართველობებს, ეს საბუთი მეტი რომ არა ვსთქვათ ერთობ სუსტია, საქმე ის არის, რომ თვით ის კამპანიები, რომელნიც კონცესსიით დიდ მონოპოლიურ საქმეებს ღებულობენ მართლაც ხომ ისეთ სპეციალურათ შერჩეულ პირებს არ წარმოადგენენ, რომ განსაკუთრებულის ადმინისტრატიულ ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი, ისინი უბრალო საქმის დამწყებნი არიან და ერთმანერთთან აქციები აკავშირებს. თუ ეს ასეა, მაშ ზემოხსენებული საბუთი მათ წინააღმდეგაც შეუძლიათ მოიყვანონ მათ, ვინც ეგრე ექვის თვალით უცქერის ქალაქის საქმიანობას, ქალაქს შეუძლია ყოველთვის იშოვოს საჭირო პერსონალი ისე, როგორც კერძო კამპანიები პოულობენ ვინაიდან ორივენი ამ მხრივ ერთ და იგივე პირობებშა იმყოფებიან. არც ერთი არაფრით არ არის შეზღუდული თანაბარ პერსონალის არჩევანში და ეს არჩევანიც ერთი და იმავე წრიდან ხდება იმის და დამოუკიდებლათ თუ ვინ აწარმოებს საქმეს, ქალაქი თუ კერძო კამპანია. მეორე მხრით არც ერთი და არც მეორე არაფრით არ არის უზრუნველყოფილი უსინიდისო, უნიჭო და სხვა ამ გვარ პირთაგან.

კონცესსიურ სისტემის დამცველებს რომ ჰკითხოთ, ამ სისტემის ყველა ნაკლულევანებათა აცილება მეტათ ადვილია. მათის აზრით, მთელი საქმე კარგ ხელშეკრულებაშია, რომელსაც სდებენ მხარენი. ისინი ამბობენ თუ კონცესსიონერები ძლიერ ხშირათ ბოროტათ ეპყრობიან საზოგადოებრივ ინტერესებს, ეს მისგან, წარმოდინდება, რომ ქალაქის ხელშეკრულებას მათთან ბევრნაირი ნაკლი აქვსო: ბევრნაირი რამ წინდახედული არ არის, ბევრი აზრი ბუნდოვანათ არის გამოთქმული და სხვა და სხვა, საკმარისია, რომელიმე ქალაქის გამოცდილ და მომზადებულ იურისტები შეიკრიბნენ, ისარგებლონ სხვა ქალაქების გამოცდილებით და მასალებით, რომ შეჰქმნან ისეთი ხელშეკრულობა, რომელშიც ყოველი წვლილი, ყოველი გარემოება, ყოველნაირი კოლლიზიები მომავალში წინასწარ იქმნება გამორკვეულიო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისეთი ხელშეკრულებათა შედგენა, რომლებშიც ყოველისფერი, მომავალ პირობათა ყოველი შესაძლო კომბინაცია წინასწარ განჭვრეტით იყოს ისე, რომ კონტრაგენტს არავითარი საშუალება არა ჰქონდეს ისარგებლონ ამა თუ იმ შემთხვევით, ამა თუ იმ გარემოებით, თუ ყოვლათ შეუძლებელი არა მეტათ და მეტათ ძნელია, რაგვარი იურისტებიც არ უნდა შეიკრიბნენ და რამდენიც არ უნდა ეცადნენ. მაშასადამე, ხელშეკრულობაზე იმედების დამყარება უსაფუძვლოა.

უმეტეს ნაწილს იმ ნაკლულევანებათა, რომელნიც ჩვეულებრივ ექსპლოატაციის კონცესსიურ წესს თანა სდევს ვერავითარის საშუალებანი ვერ აღმოფხვრით ვინაიდგან ნაკლულევანებანი თვით მის ბუნებას შეადგენენ. და მხოლოთ საზოგადოებრივ გამგეობის და განკარგულების პრინციპზე, აგებულს სისტემას, შეუძლია აიცილოს თავიდან ეს ნაკლუნევანებანი და მართლაც ნამდვილი სამსახური გაუწიოს კოლექტივის საერთო ინტერესებს. მართალია იმისათვის, რომ მეტოქეობა გაუწიოთ კერძო სამრეწველო მოღვაწეობას, რომელიც ხშირად მეტად კარგათ არის მოწყობილი და დიდის ნივთიერის საშუალებანით სარგებლობს, მრავალი პირობებია საჭირო. პირველ ყოვლისა საქმის კარგი ორგანიზაცია. ის პირობები, რომელნიც ამ პირდაპირ მმართვას უძღვებიან, პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ კომმუნის წინაშე; ამ უკანასკნელმა უნდა მათ მოსთხოვოს ყველა ის გარანტიები, რომელთაც არ დგენს ხოლმე ყოველი რიგიანი მოურავი; უნდა დაწესდეს დამოუკიდებელი კონტროლი, ამა თუ იმ სახით, კომმუნაში მცხოვრებთა მხრივ ყოველ საქმეს პირდაპირი ექსპლოატაციის დროს, მინიჭებული უნდა ჰქონდეს საბიუჯეტო ავტონომია (აღკრძალულ უნდა იქმნეს ერთი რომელიმე საქმის მოცემულ შემოსავლის მოხმარება საერთო ბიუჯეტის დეფიციტების დასაფარავათ) და სხ. და სხ.*).

თვითეულ სახელმწიფოს რომ მივმართოთ, მუნიციპალიზაციის საქმე შემდეგის სახით წარმოგვიდგება: მუნიციპალიზაციის, ისე როგორც კომუნალურ ავტონომიის კლასიკურ ქვეყანათ ითვლება ინგლისი, რომელზედაც ამიტომ ჩვენ უფრო ხანგრძლივ შევჩერდებით.

ინგლისში პირველ ყოვლისა და უმთავრესათ მუნციპალიზაცია წყლისაყვანის საქმეს შეეხო. აქაც ეს დიდი და პირველ საჭიროების საქმე უმეტეს ნაწილათ კერძო საზოგადოებებმა ჩაიგდეს ხელში. ვგონებ, ექსპლოატაციას არსად არ უჩენია თავი ისე, როგორც ამ საქმეში: წყალზე ხშირათ უზომოთ ფასების აწევა, უვარგის წყლის მიწოდება მცხოვრებლებისადმი, წყლის ხშირი ნაკლებულობა,—აი ის თანამგზავრნი, რომელნიც ჩვეულებრივ ყოველთვის თანა სდევს ამ საქმის კერძო წარმოებას. და ესეთი მდგომარეობა ცხადია, უმეტესათ მცხოვრებთა ღარიბეს ნაწილს აწუხებოდა მძიმე ტვირთათ. ამიტომაც ინგლისში ბევრგან ხალხმა სასტიკი ომი გამოუცხადა კონცესსიურ წესს წყლის მოწოდების საქმეში. კერძო კომპანიები იმდენათ ძლიერი გამოდგნენ ბევრს ალაგას იმდენ-ნაირი გამოსავალგამოსაძვრენი რჩებოდათ მათ ყოველთვის, როგორც-კი აღიძრებოდა საკითხი წყლისაყვანის გამოსყიდვის შესახებ, რომ მრავალი ქალაქი დღესაც მათ ქსელშია გაბმული და ვერ მოუხერხებია მათგან თავის დაღწევა. სახელმწიფო დაწესებულებაშიც კი, როგორიც არის პარლამენტები, კერძო კამპანიებს მრავალი და ძლიერი ქომაგი უჩნდებოდა ხოლმე. რამდენი ბილლი, მიმართული იმისაკენ, რომ გამოეგლიჯათ კერძო პირთათვის ეს მეტათ სასარგებლო საქმე, ურცხვათ უკუ უგდია პარლამენტს! რამდენი შრომა, რამდენი მეცადინეობა, რამდენი ფული დასჭირვებია ქალაქს, რათა საკუთარ ხელში გადმოეტანა ეს მდიდრების წყალობით ერთხელ მრუდედ დაყენებული საქმე! ვინც დაწვრილებით იცის ისტორია ინგლისის ქალაქსა და კერძო საზოგადოებათა შორის ბრძოლისა, ის, ვფიქრობთ, ქალაქის საქმეთა კონცესსიურ წესით წარმოების მომხრეთ არას დროს და არავითარ პირობებში აღარ იქმნება. საგულისხმოა ნამეტურ ლონდონის და კიდევ ორიოდე სხვა ქალაქის ისტორია ამ მხრივ. მეტად ხანგრძლივი და სასტიკი იყო ბრძოლა ლონდონისა კერძო საზოგადოებებთან. აქ ჩვენ მცირეოდნათ შევჩერდებით და მოვიყვანთ ზოგიერთ დაწვრილებით ცნობას ერთ ცნობილ წიგნიდან, რომელიც ინგლისის ქალაქის თვითმართველობას ეხება.*)

წყლის მიწოდების საქმე ლონდონში დღესაც**) რვა კერძო საზოგადოებათა ხელშია. წყალს ეს საზოგადოებანი იღებენ მდინარე ტემზიდან, ლიდან და სხვა წყაროებიდ-ნ. წყალი ბინძურია, რადგან იმ ადგილების ზემოთ, სადაც წყლისაყვანები იწყება, მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ დიდია და ამასთანავე მსხვილი და წვრილი პირუტყვიც ასი ათასობითაა. გარდა ამისა მთელი წყება ქალაქთა თავის უწმინდურ წყალს ტემზაში ღვრის გაუწმენდლად. თითო ადამიანზე დღეში 140 ლიტრა წყალი მოდის ესეიგი 20 ლიტრით ნაკლები იმ მინიმუნზე(160 ლიტრაზე) რომელსაც სანიტარიის ავტორიტეტები საჭიროთ სთვლიან დღის განმავლობაში ერთ ადამიანისათვის. ფასიც ამ „გაწმენდილ ნარეცხთა" 140 ლიტრზე მეტათ დიდია: კანონით დადგენილი მაქსიმუმი უდრის სადგომის ქირის 4 0/0, თუ ეს ქირა 200 გირ. სტერ. არ აღემატება. და თუ 3 0/0-იან რაოდენობას აღემატება ამას უნდა დაუმატოთ გარდასახადები ქუჩების მორწყვისათვის, აუზისათვის, ბალისათვის და სხ. საზოგადოებანი მუდამ უმატებენ ამ მაქსიმუმს და დამატებით გადასახადებსაც, რამდენათაც კი ძალა შესწევთ. მაგ, ერთ კომპანიას „ლამბეტს," პარლამენტის აქტის ძალით, უფლება არა აქვს ზედმეტი გადასახადი აიღოს აუზის წყლისათვის. მიუხედავათ ამისა, იგი დაუბრკოლებლივ და დაურიდებლათ იღებს ამ გადასახადს, რადგან თითქმის ვერავინ ვერ ბედავს ხოლმე ამ ძლიერ საზოგადოებასთან ბრძოლას. შემდეგ, კანონი ნებას აძლევს საზოგადოებებს აიღონ გადასახადი წყლისათვის ეგრედ-წოდებული Praenumerando (წინდაწინ ფულის გადახდაა), სრულიად დამოუკიდებლათ იმისა, მართლაც აძლევენ წყალს ეს საზოგადოებანი, თუ მცხოვრებნი თვით ეზიდებიან წყალს თავის საჭიროებისათვის, როგორც ეს მოხდა უკანასკნელ ზამთარს. კანონი, როგორც ზომოთ ვსთქვით, უფლებას აძლევს იმათ აიღევინონ წყალში სადგომის ქირის მიხედვით, ეს ქირაკი მუდა მატულობს, რა თქმა უნდა ამიტომაც ეს საზოგადოებანი ასი ათასობათ გირვანქა სტერლინგს ზედმეტ საჩუქარს იღებენ. კანონი კამპანიებს თვითნებობის სრულ თავისუფლებას აძლევს და ექომაგება მათ სასამართლოს წინაშეც. ერთის სიტყვით, მონოპოლისტებისათვის ლონდონი აღთქმის ქვეყანაა.

გრ. ვველეხიანი.

(შემდეგი იქნება)

*) დაწვრილებით ამ საკითხზე და საზოგადოთ კომმუნის ეკონომიურ ორგანიზაციის შესახებ იხ. „L'organizatirn économigue de la commune" par H. Lévy-Bruh et A. Prughomme.

*) К. Гуго. „Новѣйшія теченія въ англиск. город. самоупр.", გვ. 187 და შემდეგი.

**) გუგოს მიერ გარდმოცემული ცნობები ეხება იმ წარსულ დროს, როდესაც წყლის მიწოდების საქმე ლონდონში კერძო კომპანიების ხელში იყო. პარლამენტის 1902 წლის აქტით, წყლის საყვანი ქალაქის საკუთრებაში გადავიდა და, მაშასადამე, დღეს უკვე სრულიად განხორციელებულია მუნიციპალიზაცია წყლის მიწოდებისა.

ლაძე. ტარიფის საქმე ერთად-ერთია მარგანეცის მრეწველობაში, ეს უცნაური თითქმის ჯარიმის სადარი ტარიფი. აბა დავვისახელოს ბ. ნიკოლაძემ ერთი მაგალითი, რომ ადგილობრივი მარგანეცის მრეწველი ყოველთვის ცხარე წინააღმდეგი არ ყოფილიყოს ამ უცნაურის ტარიფისა და ყოველ მარჯვე და მოხერხებულ დროს არ ეცადოს ამ ტარიფის დაკლება. გამიგონია კი ერთად-ერთი მრეწველი იყოს ოდესმე ტარიფის დაკლების წინააღმდეგ და ამ მრეწველსო ამბობენ ბ. ნიკოლაძე უდგა გვერდით და მეფისტოფელის მსგავსად ჩასჩურჩულებდა ყურში ასეთ მრეწველობის მავნებელ საქმესაო. ხოლო ექსპორტერები (ზოგი მათგანი ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ტარიფის დაკლებისა და ყოველ გვარ დაბრკოლებას ეწევოდნენ. ბ. ნ. ნიკოლაძემ მთელი თავისი დაუსრულებელი ფელეტონები მით დაამთავრა, რომ აგიტაცია გასწია გ. ზდანოვიჩი დაითხოვეთ დი მის ადგილს სხვა ვინმე ამოირჩიეთო. ბ. ზდანოვიჩის თითქმის ერთმხრივი ამრჩევა ბ. ნ. ნიკოლაძის ფელეტონების ღირსეული პასუხია. ბ. ნ. ნიკოლაძე და მისი ამქრები სასტიკად დამარცხებულნი დარჩნენ. ბ. ზდანოვიჩის თითქმის ერთხმივ არჩევით (ხუთი ხმა ამოუვიდა შავი და ისეთი კაცების, რომელთა ერთაზროვნება ბ. ნიკოლაძესთან ამტკიცებს ცნობილ საზოგადო მოღვაწის დაქვეითებასა და დაცემას ბ. ზდანოვიჩის ერთხმრივარჩევა — ექსპორტერებმა ყველამ ერთხმად მხარი მისცეს მას — ამტკიცებს ერთის მხრით მას, რაც თვით ბ. ზდანოვიჩმა აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ კრებას მოსწონს საბჭოს მეთაური ბ. ზდანოვიჩის პოლიტიკა და მოქმედება, ხოლო მეორეს მხრით იმას, რომ მისი პირადი ღირსებები იმდენად ყველასაგან ცნობილი და დაკისრებულია, რომ ეს პირადობა აერთებს თვით მოპირდაპირე აზრის ხალხსაც.

**არა მრეწველი.**

## ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტი.

16 მაისს საღამოს დანიშნულ კონცერტს მოუთმენლად მოველოდდით: რადგან ჩვენ უნდა მოგვესმინა ჩვენი თითქმის ხელ-უხლებელი ეროვნული მუსიკა შემუშავებული და გართულებული, საზოგადო მუსიკალური მეცნიერების კანონებით. ძალიან საინტერესო ხანას განვიცდით; დადგა დრო როცა უნდა წარმოიშვას რთული მუსიკალური ქმნილება ოპერა თუ სიმფონია განსიქუთრებული მელოდიის და მუსიკის ხასიათისა. სხვათა შორის ხელოვნებაში უნდა დაგვეხმარის წელში გავსწორდეთ დღეს, როცა ჩვენ ნაციონალურ არსებობაზე ეჭვი გვებადება. ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტი ამ თვალსაზრისით მოვისმინეთ და გავშინჯეთ.

ექვსი სიმღერა შესრულებულ იქმნა ხოროთი და ორკესტრით. ექვსივეში მელოდია დაცულ იყო სრულიად, მაგრამ ძლიერ ნაკლებ იყო გადიადებული აკორდებით. ჩვენის აზრით შესავალები ხშირად ნაკლებ შეესაბამებოდა (პრელუდიები) სიმღერების ტემის განვითარებაში. ლითონის ინსტრუმენტები ხშირად მეტის მეტად სჭარბობდენ, რაიც მას სამხედრო მუსიკის ხასიათს აძლევდა. ქართული მუსიკა კი ნაზია, იგი ლაზათიანი გამოვა ხის და ძუის ინსტრუმენტებზეო, — ფლეიტაზე. სკრიპკაზე და სხ.

ყველაზე რთულ მუსიკალური, ქმნილებათ საზოგადოდ სიმფონია ითვლება. სიმფონიის მუსიკამ უნდა გვაძცნოს სულიერ განცდათა მთელი წყობა რომელშიაც ადამიანური გრძნობის მრავალმხრივობა და სიმდიდრე შეიძლება ამას აშკარავებდეს. ამ მრავლიანობაში, აუცილებლად საჭიროა ხელოვნური მთლიანობის დაცვა. „ბაყბაყ დევის“ სიმფონია სუსტობდა ამ მხრივ სურათები რომ არ ყოფილიყო გაგება ძნელი იყო.

ეს სიმფონია ეკუთვნის ეგრედ წოდებულ „საპროგრამმო მუსიკის“ დარგს: საპროგრამმო მუსიკა, კი აბსოლიუტური მუსიკის წინააღმდეგ, აზრთა და სულიერ განცდათა განსაზღვრული, კონკრეტიული შინაარსის გადმოცემას სცდილობს, ამიტომ ამ მიმართულების მიმდევრები ხშირად მარტო მუსიკალური ხმებით არ კმაყოფილდებიან და ლიტერატურულის ან მხატვრულის საშუალებათა დახმარებას მიმართავენ ხოლმე. ამგვარად მუსიკა **კონკრეტიზაციის** მისაღწევად ხელოვნებას იშველიებს, რომელიც მუსიკასთან ძლიერ შორს სდგას და სულ სხვა „ესთეტიურს ლოგიკას“ ექვემდებარება ჩვენ გვგონია რომ მუსიკას სავსებით არ ძალუძს გამოხატოს ადამიანური გრძნობანი. კონკრეტიულად. თვით მაშინაც კი როცა ის პუბლიცისტიკას, ბელეტრისტიკას და მხატვრობას ეყრდნობა, ხშირად „საპროგრამმო მუსიკა“ თავის სპეციფიურ ხასიათს ჰკარგავს და ესთეთიკის სიამოვნებასაც სიძლიერე ეკარგება.—ამას გარდაც ბ. ფოცხვერაშვილის სიმფონიაში ემოციურ მომენტებს შემოქმედება აკლდა და მსვლელობა და უშთაბეჭდილებოდ რჩებოდა.

კარგი წინადადება იყო შეტანილი ხალხური სტვირის სახით, მაგრამ გამოყენებული არც ის იყო ჯეროვანად. ერთი სიტყვით ჩვენი მუსიკისათვის კიდევ საჭიროა მუყაითი შესწავლა და დაკვირვება მუსიკალურ მეცნიერების ჰარმონიის, კონტრაპუნქტის ორკესტრისათვის და სხ.

ხორო, რაც ეს ძნელი შესადგენია ჩვენში, ამ ცოტა ხნის განმავლობაში ძალიან კარგად იყო გაწრთვნილი: ეტყობა ბ. გოცხვერაშვილს განსაკუთრებული ნიჭი აქვს გადაცემაში.

ზემო აღნიშნული ნაკლების მიუხედავად ბ. ფოცხვერაშვილს, ამ კონცერტში მაინც საყურადღებო ნიჭი დაგვანახვა. მართალია მას აკლია ძლიერი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რომელსაც შეუძლია ხალხის გენიოსობის მიერ შექმნილ ასპარეზზე დიადი ხელოვნური ნაწარმოების აგება, მაგრამ ყოველივე შემთხვევაში ექვს გარეშეა ჩვენში უხრავად გაბნეულს დაუმუშავებელს მასალას ის ხეირიანად გადადუღებს ქართულ მუსიკას შესამჩნევად წასწევს წინ. ჩვენი მუსიკოსი ჯერ ახალგაზრდა ადამიანია და მუყაითი შრომის საშუალებით დიდი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებას ამ საქმეში. **ბაბო.**

## უცხოეთი

**ოსმალეთის მდგომარეობა.**

მცირე აზიის კორესპონდენტი გაზეთ „მანჩესტერ გუარდიან.“-ისა, კარგად მცოდნე ადმოსავლეთისა, სერფილიამ რამზეი, აღნიშნავს ახალგაზრდა ოსმალეთის გაჭირვებულ მდგომარეობას: „ამოცანა, რომელიც წინ უდევთ ახალგაზრდა ოსმალებს, სახელდობრ — ოსმალეთის შინაურ მართვა-გამგეობის მოწესრიგება, საკმაოდ სამწერლოთა გარეშე საქმეების გაურთულებლადაც, მაგალითად, როგორც კრიტის საქმეა. საქმეთა მდგომარეობა მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ: გაბატონებულს ერს (ოსმალებს) არჩევანში უხდება შესვლა; მისთვის გადასაწყვეტია: დასთმოს თავის უპირატესობა და გაუთანასწორდეს უფლებით სხვა ერებს, განსაკუთრებით ქრისტიანებს ოსმალეთის იმპერიისას, თუ უარი სთქვას ამ დათმობაზედ. ცნობილ ორიენტალისტ ვამბერის თქმით, ოსმალთა რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში არ აღემატება 6 მილიონს. ამ 6 მილ. ოსმალომ კი უნდა შეინარჩუნოს ბატონობა, 14 მილიონ არაბზედ, 4 მილიონ ბერძენზე და 4 მილიონ სომეხზე“.

„ოსმალთ, — განაგრძობს რამზეი, — სასიკვდილოდ განწირული ერია; იგი უფრო და უფრო უკან იხევს და უთმობს ადგილს უფრო ნაყოფიერს ერებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი ივსება სხვა მაჰმადიან ერთა რიცხვით. ოსმალოს ერი იღევა განსაკუთრებით სიფილისის გამო, რომელიც ბევრ პროვინციებში მძვინვარებს და ვრცელდება ერთი მხარედან მეორე მხარეს ჯარის კაცების წყალობით.

„აშკარაა, — დასძენს რამზეი თავის კორესპონდენციაში, — რომ 6 მილ. ოსმალოს არ შეუძლიან იუფლოს სხვა მრავალ ერებზე. ამ შემთხვევაში ვერავითარი სიმხეცე და სისასტიკე ვერ უშველის მათ. ორში ერთი უნდა აირჩიოს ოსმალოს ერმა: ან დაქუცმაცება ოსმალეთისა, ან თავის გათანასწორება უფლებებით სხვა თანამოსახლე ერებთან. საიმედო არ არის, რომ ოსმალთა შორის დაიბადოს ისეთი გენიოსი, რომელსაც, როგორც ნაპოლეონს, შეეძლოს გამოჩენა სამხედრო და ადმინისტრატიულ ნიჭისა, მაგრამ გინდ რომ დაიბადოს კიდეც ასეთი პირი, იგი უთუოდ სცნობს საჭიროდ ოსმალეთის მთლიანობის შესანახად ერთა გათანასწორებას. ახალგაზრდა ოსმალები თანდა-თან იმსჭვალებიან ამ აზრით, მაგრამ ამასთანავე ჰგონიათ, რომ შესაძლოა აგრეთვე სხვა ერების გაოტომანება, ესაა მათი შეცდომა. ასეთი მისწრაფება მათი ისევ ძველებური ბატონობაა, მხოლოდ ცოტა სხვა სახით თავის დღეში ვერ შესძლებთ აქციონ ბერძენი ოსმალოთ, არც ალბანელები არ დასთმობენ თავიანთ ფრანგულ ზნე-ჩვეულებებს, თუ კი საერთოდ მთელ ერებზე ვილაპარაკებთ და არა კერძო პიროვნებებზე“.

— დ ი დ ი ი ა ფ ო ბ ა —

— 20 მაისიდან 10 ივნისამდე —

## პარიზის მაღაზია

**დამზადებულ ტანისამოსისა**

## ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

**ნიშნავს დიდ იაფობას**

**20 მაისიდან — 10 ივნისამდე 1910 წ**

ფ ა ს ე ბ ი შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ე ლ ა დ

გოლოვინის პროსპექტი ტელეფონი № 258

(10—1)

— 20 მაისიდან 10 ივნისამდე —

— დ ი დ ი ი ა ფ ო ბ ა —

## ამხანაგობა „ოკეანე“ ბაღი და რესტორანი

ქართ. თავად-აზნ. ადგილობრივ საზაფხულო თეატრთან. შესავალი მარჯვენა მხრიდან, გალერეიდან. ყოველ დღე დღისით 2 ნახ. ს. 5-ის ნახ. ს. და საღამოთი 9-ის ნახ. ს. ღამის 2-ის ნახ. ს. უკრავს ვენის ცნობილი ავსტრიიდან მოსული საკონცერტო სიმებიანი

**ქ ა ლ ე ბ ი ს ო რ კ ე ს ტ რ ი**

ქ-ნ პეშლის გამგეობით.

**სადილი და ვახშამი**

სადილი 1 საათ. ნაშუადღევის 5 საათამდის.

2 თავი საჭმელი 50 კაპ., 3 თავი 75 კაპ., 4 თავი 1 მან. სადილს იძლევიან სახლში წასაღებადაც.

**საჭმელები ადგილობრივი და ევროპიული.**

რესტორანში არის სამი სრულიად ახალი **ბილიარდი და ნარდი.**

არის აგრეთვე კაბინეტებიც. მიიღება შეკვეთა საქორწილო წვეულებებზე, პიკნიკებზე, სადილებზე, ვახშმებზე, რამდენ კაცზედაც უნდა იყოს. არის მოჩარდ ხებული როტონდო ნადიმებისათვის და აგრეთვე ახდილი ადგილი დიდ კაკლის ხის ქვეშ. აძლევენ ქირით სადილის სერვიზს. ტელეფონი № 812. ბაღში შესვლა უფასოა.

(10—ხალ.—8)

## შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღოხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—103)

**გამოფენა** და გაყიდვა მოწაფეების ხელ საქმისა ე. ალმაზოვის საქალებო პროფესიონალურ სასწავლებელში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

ნემეცების ქუჩა № 3. (1—ფ. 1)

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აჯვეტარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. მ ს. ზილბერმანი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ. გოევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა

**ი. ფ. მარცინკევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისათვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. გაჟონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(0—14) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

## ყ ვ ე ლ ა მ,

ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ

## სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში ი. ფონ-ზრენერისა.

**სერგეევის ქ. № 4.**

იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას. იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.

გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა.

(10—ლგ.—9)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

## „როზა“

(„ვარდი“)

**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—15)



## 24 საათის მაგიერ—192 საათი!

საათები, რომელნიც ყოველ 8 დღეში ერთად უნდა დაქოქილიყვნენ, ღირდა წინად 15 მანეთი და ყველასათვის ხელმისაწვდენი არ იყო ეს ფასი, ეხლა იგივე საათები მხოლოდ 5 მანეთი ფასობს. ერთმა მთელ ევროპაში მეტად ცნობილმა საათების ფაბრიკამ მოიწადინა ყველასათვის ხელმისაწვდენი ყოფილიყო ასეთი საათები და მიაღწია კიდეც მიზანს, რადგან საათების დამზადების მუშაობა მეტად გაუმჯობესებულია დღეს. ამიტომაც არის, რომ ეს საათები ასე გაიაფდა. საათი მავი თუჯისაა, დაქოქვა ყოველ 192 საათში ერთხელ, ქვებით. გარეგნულად მეტად მშვენიერი შეხახედია. მექანიზმი ანკერისა, მომართვა კურწოდან, უგასაღებოდ. ფასი მხოლოდ 5 მანეთი, 2 საათი 9 მანეთი, 5 კ. ასეთივე ვერცხლისა 84 პროცენტ. 8 დღეში ერთხელ მოსამართი 9 მან. 50 კ. 2 საათი 18 მან. 50 კ. გაგზავნა 4 ცალისა 40 კ. ციმბირში 75 კ. იგზავნება ფასდადებითაც და ბეს წარმოუდგენლადაც. ექვსი წლის განმავლობაში პასუხის-მგებლობით—**თუ საათი არ მოეწონებათ უკან ვილებთ, ფულს ვუბრუნებთ.** მშვენიერი მოდის მეწკვები ამერიკის ოქროსი ბრელოკით, თითო 75 კაპ და 1 მან. 2 ზომიანი 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.

Адресъ: Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Креста, N 48. отд. 12.

გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე

Метцль и К-о N 34228. (4—6.—2)

ყველა ჩვენ აპპარატს აზის ფაბრიკის საკუთარი მარკა „მწერავი ანგელოსი“

## აქც. საზოგადოება გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.

**მოგვიკოვება შემდეგი მომღერალთა ფირფიტები**



| ადგილობრივი. | რუსული. |
|---|---|
| გ. ბაგრატ, გ. ნიკოლი, კომიტას | ფ. ი. შალიაპინი. |
| | ლ. ვ. სობინოვი. |
| ვარდა პეტ, კავსაძე, მაღჯიდ-ბეგბუტოვი, ჯაბარი, ვკორიაგ-დოევ | დ. ა. სმირნოვი. |
| | ვ. პ. დამაევი. |
| | ნ. ვ. გრიზუნოვი. |
| მაშადი მამედ-ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა. | ლ. ვ ნეჟდანოვი. |
| | მ. ა. მიხაილოვი. |
| | ნ. ს. ერმოლენკო იუჟინისა. |
| | ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი. |
| | ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა. |

## ფირფიტები 65 კაპ. და უფრო ძვირი.

## აპარატები 35 მანეთიდან და უფრო ძვირი.

აქც. საზოგ. „გრამაფონის“ გაკეთებული აპპარატები და სხვა. შეიძლება იყიდოთ აგრეთვე **გ. ს. დავიდოვთან,** (სერგიევის ქუჩა სოლოლაკი № 1).

**საუკეთესო გასართობი აგარაკისთვის.**

**Акц. Общ. ГРАММОФОНЪ**

კატალოგი მოითხოვეთ უფასოთ. (2—1)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.